

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №33
2018 წლის 16 ივლისი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №73 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, „ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №73 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 28/12/2017, 190020020.35.158.016398) შევიდეს ცვლილება:

მუხლი 1

ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №73 დადგენილების თავი I და თავი II ჩამოყალიბდეს დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 16 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

თამაზ ჟორჯოლიანი

დანართი 1

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი თავი I

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	20,737.4	25,067.2	4,102.7	20,964.5	25,130.9	3,322.6	21,808.3
გადასახადები	3,776.1	3,302.8	0.0	3,302.8	3,700.0	0.0	3,700.0
გრანტები	3,793.0	4,109.3	4,102.7	6.7	3,636.9	3,322.6	314.3
სხვა შემოსავლები	13,168.3	17,655.1	0.0	17,655.1	17,794.0	0.0	17,794.0
ხარჯები	16,649.9	16,914.0	1,452.0	15,462.0	19,504.3	1,250.1	18,254.2
შრომის ანაზღაურება	3,088.0	2,638.9	132.0	2,506.9	3,094.0	132.0	2,962.0
საქონელი და მომსახურება	2,115.5	2,346.2	59.1	2,287.1	2,525.4	65.0	2,460.4



ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	142.7	108.5	0.0	108.5	70.0	0.0	70.0
სუბსიდიები	7,958.6	7,680.3	170.0	7,510.3	9,437.6	170.0	9,267.6
გრანტები	955.0	31.4	0.0	31.4	30.0	0.0	30.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,708.8	1,843.6	1.3	1,842.4	1,760.8	4.8	1,756.0
სხვა ხარჯები	681.3	2,265.0	1,089.6	1,175.4	2,586.5	878.3	1,708.2
საოპერაციო საღდო	4,087.5	8,153.2	2,650.7	5,502.5	5,626.6	2,072.5	3,554.1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4,924.3	4,199.3	2,403.7	1,795.6	8,121.0	2,553.8	5,567.2
ზრდა	5,109.1	4,444.8	2,403.7	2,041.1	8,321.1	2,553.8	5,767.3
კლება	184.8	245.5	0.0	245.5	200.1	0.0	200.1
მთლიანი საღდო	-836.8	3,953.9	247.0	3,706.9	-2,494.4	-481.3	-2,013.1
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1,109.1	2,612.2	-207.2	2,819.4	-2,891.8	-481.2	-2,410.6
ზრდა	722.0	3,335.9	481.3	2,854.6	0.0	0.0	0.0
კლება	1,831.1	723.7	688.5	35.2	2,891.8	481.2	2,410.6
ვალდებულებების ცვლილება	-272.3	-1,341.7	-454.2	-887.5	-397.4	0.0	-397.4
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	272.3	1,341.7	454.2	887.5	397.4	0.0	397.4
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	272.3	1,341.7	454.2	887.5	397.4	0.0	397.4
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.“.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი		2018 წლის გეგმა	
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის
			სახელმწიფო		სახელმწიფო



			ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	22,753.3	26,036.4	4,791.2	21,245.2	28,222.8	3,803.8	24,419.0
შემოსავლები	20,737.4	25,067.2	4,102.7	20,964.5	25,130.9	3,322.6	21,808.3
არაფინანსური აქტივების კლება	184.8	245.5	0.0	245.5	200.1	0.0	200.1
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	22,031.3	23,145.0	4,309.9	18,835.1	28,222.8	3,803.8	24,419.0
ხარჯები	16,649.9	16,914.0	1,452.0	15,462.0	19,504.3	1,250.1	18,254.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,109.1	4,444.8	2,403.7	2,041.1	8,321.1	2,553.8	5,767.3
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	272.3	1,341.7	454.2	887.5	397.4	0.0	397.4
ნაშთის ცვლილება	-722.0	-2,891.4	-481.3	-2,410.1	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 25,130,9 ათ. ლარის ოდენობით.“.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	20,737.4	25,067.2	4,102.7	20,964.5	25,130.9	3,322.6	21,808.3
გადასახადები	3,776.1	3,302.8	0.0	3,302.8	3,700.0	0.0	3,700.0
გრანტები	3,793.0	4,109.3	4,102.7	6.7	3,636.9	3,322.6	314.3
სხვა შემოსავლები	13,168.3	17,655.1	0.0	17,655.1	17,794.0	0.0	17,794.0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები



დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	3,776.1	3,252.7	0.0	3,252.7	3,700.0	0.0	3,700.0
საშემოსავლო გადასახადი	863.0	669.8	0.0	669.8	700.0	0.0	700.0
გადასახადები ქონებაზე	2,913.1	2,582.9	0.0	2,582.9	3,000.0	0.0	3,000.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე(გარდა მიწისა)	1,546.1	1,335.2	0.0	1,335.2	1,800.0	0.0	1,800.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე(გარდა მიწისა)	6.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე(გარდა მიწისა)გადასახადი	0.0	8.1	0.0	8.1	0.0	0.0	0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	921.0	840.5	0.0	840.5	890.0	0.0	890.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი ფიზიკური პირებიდან	731.8	637.7	0.0	637.7	700.0	0.0	700.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი იურიდიული პირებიდან	189.2	202.8	0.0	202.8	190.0	0.0	190.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	440.0	399.1	0.0	399.1	310.0	0.0	310.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი ფიზიკური პირებიდან	10.5	31.6	0.0	31.6	10.0	0.0	10.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი იურიდიული პირებიდან	429.5	367.6	0.0	367.6	300.0	0.0	300.0
სხვა გადასახადები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები



განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 3,636,9 ათ. ლარის ოდენობით.“.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
გრანტები	3,793.0	4,083.9	3,636.9
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	55.0	6.7	314.3
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	3,738.0	4,077.3	3,322.6
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	305.0	279.6	305.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	0.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	305.0	279.6	305.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	3,433.0	3,797.7	3,017.6
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	2,254.1	3,797.7	3,017.6
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1,178.9	0.0	0.0
სხვა სპეციალური ტრანსფერი	0.0	0.0	0.0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 17,794,0 ათ. ლარის ოდენობით.“.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	13,168.3	17,655.1	17,794.0
შემოსავლები საკუთრებიდან	12,753.1	17,375.9	17,559.0
პროცენტები	71.2	208.1	165.0
დივიდენდები	0.0	0.0	0.0
რენტა	12,681.9	17,167.8	17,394.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	12,681.9	17,150.8	17,394.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	141.0	70.0	35.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	135.5	59.8	30.0
სანებართვო მოსაკრებლები	69.4	50.9	20.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.4	1.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორტიის დასუფთავებისათვის	9.7	7.9	10.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	5.5	10.2	5.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	5.5	10.2	5.0



ჯარიმები,სანქციები და საურავები	190.2	197.8	200.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	84.0	11.5	0.0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 19,504,3 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.“.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	16,649.9	16,914.0	1,452.0	15,462.0	19,504.3	1,250.1	18,254.2
შრომის ანაზღაურება	3,088.0	2,638.9	132.0	2,506.9	3,094.0	132.0	2,962.0
საქონელი და მომსახურება	2,115.5	2,346.2	59.1	2,287.1	2,525.4	65.0	2,460.4
პროცენტი	142.7	108.5	0.0	108.5	70.0	0.0	70.0
სუბსიდიები	7,958.6	7,680.3	170.0	7,510.3	9,437.6	170.0	9,267.6
გრანტები	955.0	31.4	0.0	31.4	30.0	0.0	30.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,708.8	1,843.6	1.3	1,842.4	1,760.8	4.8	1,756.0
სხვა ხარჯები	681.3	2,265.0	1,089.6	1,175.4	2,586.5	878.3	1,708.2

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 8,117.5 ათ. ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 8,317.6 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	150.4	129.0	472.3
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3,786.6	4,087.4	5,861.9
03 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	164.0	82.2	1,327.3
04 00	განათლება	1,005.8	146.2	656.1



	სულ ჯამი	5,106.8	4,444.8	8,317.6
--	----------	---------	---------	---------

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 200,1 ათ. ლარის ოდენობით, მათ შორის.“.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	184.8	245.5	200.1
ძირითადი აქტივები	65.7	20.3	40.1
არაწარმოებული აქტივები	119.1	225.2	160.0
მიწა	119.1	225.2	160.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით.“.

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4,246.2	3,904.0	5,224.8
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4,103.5	3,795.5	5,154.8
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4,103.5	3,793.2	4,854.8
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	2.3	300.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	142.7	108.5	70.0
702	თავდაცვა	218.5	212.1	212.5
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2,894.4	3,676.0	3,435.8
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	48.7	31.5	0.0
70421	სოფლის მეურნეობა	48.7	31.5	0.0
7045	ტრანსპორტი	1,871.1	3,585.5	3,266.9
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,871.1	3,585.5	3,266.9



7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	974.7	59.0	169.0
705	გარემოს დაცვა	1,680.5	892.3	1,345.7
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	850.0	892.3	1,158.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	830.5	0.0	187.7
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1,813.1	3,523.2	5,588.4
7061	ბინათმშენებლობა	396.8	1,272.0	2,436.6
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	24.7	208.5	434.1
7063	წყალმომარაგება	51.6	338.9	390.0
7064	გარე განათება	698.2	861.6	722.5
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	641.8	842.1	1,605.3
707	ჯანმრთელობის დაცვა	202.0	205.5	203.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	202.0	205.5	203.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	5,164.3	3,896.2	5,818.2
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	3,112.6	1,734.4	3,270.7
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1,629.3	1,548.9	1,867.0
7083	ტელერადიომუწეობა და საგამომცემლო საქმიანობა	141.3	318.1	313.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	220.0	280.0	365.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	61.0	14.8	2.5
709	განათლება	2,955.4	2,115.9	2,799.3
7091	სკოლამდელი აღზრდა	2,858.7	2,016.2	2,668.8
7092	ზოგადი განათლება	96.7	99.7	130.5
70923	საშუალო ზოგადი განათლება	96.7	99.7	130.5
710	სოციალური დაცვა	2,584.5	2,933.7	3,197.7
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	86.5	88.4	143.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	86.5	88.4	143.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	397.1	380.0	459.7
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	570.0	822.4	660.0
	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება			



7107	კლასიფიკაციას	33.9	32.0	45.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1,497.0	1,610.8	1,890.0
	სულ	21,759.0	21,358.8	27,825.4

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს (-2494.4) ათ. ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-397.4) ათ. ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება (397.4) ათ. ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით საგანგებო ან/და გაუთვალისწინებელი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, შეიქმნეს სარეზერვო ფონდი და განისაზღვროს 300,0 ათასი ლარის ოდენობით, რომელსაც განკარგავს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო თანხების გამოყოფა განხორციელდეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 13. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 305,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 170,00 ათასი ლარის ოდენობით;

ა.ა) ააიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაავადებათა აღრიცხვის კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის ცენტრის მიერ 2018 წელს განსახორციელებელი; სავალდებულო ღონისძიებები ადგილობრივი დელეგირებული უფლებამოსილებისათვის 114.0 ათასი ლარის ოდენობით;

ა.ბ) შპს. დეზე-ფექტის მიერ განსახორციელებელი ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი სადერატიზაცო, სადეზინსექციო და სადეზინფექციო სამუშაოების უფლებამოსილებისათვის 56.0 ათასი ლარის ოდენობით;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 132,00 ათასი ლარის ოდენობით;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 3,0 ათასი ლარის ოდენობით;



2. კაპიტალური სამუშაოების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა ტრანსფერმა შეადგინა 3,017,550 ლარი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
- ა) ქ. ბოლნისში წისქვილის ქუჩაზე ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები 147,175 ლარი;
 - ბ) ქ. ბოლნისში ლადო ასათიანის ქუჩაზე ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები 213,875 ლარი;
 - გ) ქ. ბოლნისში ფარნავაზ მეფის ქუჩაზე (№№11-28) ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები 320,450 ლარი;
 - დ) ქ. ბოლნისში კოსტავას ქუჩაზე (№№1-3) ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები 72,500 ლარი;
 - ე) ქ. ბოლნისში შოთა რუსთაველის ქუჩაზე (№№1-9) ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები 151,525 ლარი;
 - ვ) ქ. ბოლნისში ფარნავაზ მეფის ქუჩაზე, (ჩიხი გიორგი სააკაძისა და შოთა რუსთაველის ქუჩების კვეთებს შორის) ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები 99,325 ლარი;
 - ზ) ქ. ბოლნისში ფარნავაზ მეფის ქუჩაზე (№№1-11) ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები 130,500 ლარი;
 - თ) ქ. ბოლნისში სულხან-საბა ორბელიანის (№№97-115) ქუჩაზე არსებული (№4) ტროტუარების რეაბილიტაცია 217,500 ლარი;
 - ი) №2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია 398,750 ლარი;
 - კ) ქ. ბოლნისში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე სანიაღვრე სისტემების მოწყობა 192,125 ლარი;
 - ლ) დაბა კაზრეთში ლიფტების რეაბილიტაცია 693,825 ლარი;
 - მ) სოფელ რაჭისუბანში გზების რეაბილიტაცია 380,000 ლარი.

თავი II

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 14. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერა, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების კრიტერიუმები

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2017 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარე განათების მშენებლობა-ექსპლუატაცია, საკანალიზაციო და ჩამდინარე წყლების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარემოს დაცვის ღონისძიებები, მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია, სასაფლაოების მოვლა, შადრევნების, სპორტული მოედნების და დასვენების პარკის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 01)

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. ქალაქის ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს ბოლო წლების მანძილზე რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი. მუნიციპალიტეტში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის



ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში გზის საფარის მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების და მშენებლობის სამუშაოების ჩატარებას. მათ შორის: გზების მიმდინარე (ორმოული) და ფრაგმენტული შეკეთება; გზების ქვიშა-ხრეშოვანი მასალით მოწყობა; ქუჩების ტროტურების მიმდინარე კაპიტალური შეკეთება; გზებზე ასფალტ/ბეტონის დაზიანებულ მონაკვეთებზე ბზარების დამუშავება; პროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს ქუჩებისა და გზების განტვირთვას სატრანსპორტო ნაკადებისაგან და ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა;
- მოსახლეობის ეკონომიკური საქმიანობისთვის ხელსაყრელი სატრანსპორტო მიმოსვლა;
- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;
- გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მეტი რეაბილიტირებული გზა;
- ორმოულად შეკეთებული და მოვლილი გზები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი საავტომობილო გზების მახასიათებლები;
- საგზაო შემთხვევების შემცირებული რაოდენობა;
- გადაადგილების დრო და სატრანსპორტო ხარჯები;
- რეაბილიტირებული და ახალი გზების რაოდენობა;
- მოსახლეობის კმაყოფილების მაჩვენებელი.

2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის მშენებლობა-ექსპლუატაცია, სარწყავი არხების, საკანალიზაციო, სასმელი წყლის და სანიაღვრე სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარემოს დაცვის ღონისძიებები: საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანა, ქვეწარმავლების და მაწანწალა ცხოველების დასახლებული პუნქტებიდან გადაყვანა, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია, სასაფლაოების მოვლა.

მოსალოდნელი შედეგები:

- განათებული მუნიციპალიტეტი;
- გაუმჯობესებული კომუნალური ინფრასტრუქტურა;
- გაუმჯობესებული სანიტარიული პირობები;
- სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება;
- დატბორილი ადგილების აღმოფხვრა ტრანსპორტის შეუფერხებლად ფუნქციონირებისთვის;
- მუნიციპალიტეტში სანიტარიული წესრიგის შენარჩუნება;
- ეპიდემიური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება;
- ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ექსპლუატაციაში არსებული სანათი წერტილების რაოდენობა;

- რეაბილიტირებული კომუნალური ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა;
- გატანილი ნარჩენების რაოდენობა;
- გაწმენდილი და გასუფთავებული სანიაღვრე მილების, კოლექტორების და წვიმმომღები ჭების რაოდენობა;



- განათებული ქუჩების რაოდენობა და განათების ინტენსიობა;
- გატანილი ნარჩენების რაოდენობა;
- დასუფთავებული ტერიტორიის ფართობი.

2.2.1. სარწყავი არხების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განხორციელდება სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია.

2.2.2. სასმელი წყლით მომარაგების სამუშაოები (პროგრამული კოდი 02 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის არსებული წყლის რეზერვუარების გაწმენდა-შეკეთება და რეაბილიტაცია, სოფლის მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდება, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობა; სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობა, მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის მაგისტრალზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესრულება და გამრიცხველიანება, რეზერვუარების რეცხვა-დასუფთავება, დეზინფექცია.

2.2.3. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში გარე განათების არსებული ქსელის განათებასა და ქალაქის ღირსშესანიშნაობათა მხატვრულ მინათებას. გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციას და სწორ ექსპლოატაციას. ქალაქის გარე განათების ქსელის ექსპლოატაციისა და რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება: გარე განათების ქსელის ცენტრალიზებული მართვის სისტემების სრულყოფა; გარე განათებისა და სკვერების განათების ბოძების დიზაინის გაუმჯობესება. ელექტროუსაფრთხოების ღონისძიებების რეგულარული გატარებადამის პერიოდში მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის. ისტორიული ძეგლებისა და ტაძრების ფასადების, სკვერებისა და ბულვარების განათებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარე განათება.

2.2.4. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 02 04)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. ასევე გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის დროს განხორციელდება ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება. მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსდება დასახლებულ პუნქტებში ქვეწარმავლების დაჭერა – უსაფრთხო ადგილზე გაყვანის მომსახურება.

2.2.5. საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტში განხორციელდება საკანალიზაციო სისტემის ექსპლოატაციისა და ჩამდინარე წყლების გადასამუშავებელი კოლექტორების, მილგაყვანილობის და წყალსაქაჩების დამონტაჟება-რეაბილიტაცია და გაწმენდა.

2.2.6. ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 06)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. მუნიციპალიტეტში არის მრავალი ავარიული საცხოვრებელი სახლი, სხვადასხვა ფაქტორები (მ.შ. სტიქიური მოვლენები) რეალურ საფრთხეს უქმნის მობინადრეთა სიცოცხლეს. ამისათვის დაგეგმილია გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ავარიული შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც მიზნად ისახავს ავარიული არასაცხოვრებელი და საცხოვრებელი სახლების შემცირებას. ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მობინადრეთა უსაფრთხოების დაცვას.



გასამაგრებელი შენობების პრიორიტეტულობა განისაზღვრება ტექნიკური მდგომარეობის ამსახველი დასკვნის საფუძველზე დადგენილი ავარიულობის სიმწვავის კატეგორიის მიხედვით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია.

2.2.7. სარიტუალო მომსახურებისა და სასაფლაოების მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფი რიტუალური სახლებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

2.2.8. სანიაღვრე სისტემების მოწყობა (პროგრამული კოდი 02 02 08)

მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანიაღვრე ქსელების და კოლექტორების მოვლა-პატრონობას, გარკვეული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციას და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების გარკვეული ნაწილი ამორტიზირებულია და მოითხოვს განახლებას, ხოლო ქსელების ნაწილი სარეკონსტრუქციოა, კვეთის სიმცირის გამო. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში ქუჩების სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობას (ექსპლოატაცია), მიმდინარე შეკეთებას, სანიაღვრე კოლექტორების, წვიმმომღებების, საკონტროლო ჭების, გვერდმომღებების მოწყობას, კიუვეტების გაწმენდას. პროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე ქსელების წესრიგში მოყვანა.

2.2.9. კორპუსების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 02 10)

მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ვერ ახორციელებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო ქონების დამოუკიდებელ მოვლა-პატრონობასა და განვითარებას. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავი მთლიანად აზიანებს ჭერს და მაღალ სართულებზე განთავსებულ ბინებს. სადარბაზოების დაცულობისა და განათების კუთხით აუცილებელია შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. დაზიანებული წყალ-კანალიზაციის ქსელებიდან სარდაფებში ჩადინებული წყალი და ფეკალური მასები აზიანებენ კორპუსების საძირკვლებს და ქმნიან ანტისანიტარიას. დაზიანებული წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების გამო ნალექით სველდება მთლიანი ფასადები, რაც იწვევს ნალესის ჩამოშლას და სახლები ავარიული ხდება. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მოწესრიგების შემდეგ კომფორტული დასვენებისა და ბავშვების გართობისათვის აუცილებელია ძელსკამებისა და საბავშვო ატრაქციონების განთავსება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის ეზოებში.

2.2.9.1. ბიზნესსაქმიანობის ეფექტური პლატფორმის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 02 02 11)

აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს „ბოლნისში ბიზნესსაქმიანობის ეფექტური პლატფორმის ჩამოყალიბებას. პროექტის საერთო ღირებულება შეადგენს 380,0 ათას ევროს, რომლის 84,21% (320,0 ათასი ევრო) აფინანსებს ევროკომისია, ხოლო 15,79% (60,0 ათასი ევრო) ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია. პროექტის განხორციელების პერიოდი სამი წელია. ევროკავშირი გრანტის ჩარიცხვას განახორციელებს სამ ეტაპად:

1. 2018 წელს 102,502,19 ევრო.
2. 2019 წელს 185,497,81 ევრო.
3. 2020 წელს 32,000,00 ევრო.

პროექტის 2018 წლის ბუჯეტი შეადგენს 121,722,1 ევროს. აქედან ევროკომისია დააფინანსებს 84,21%-ს (102,502,19 ევრო), დანარჩენი 15,79%-ი (19,219,92 ევრო) კი უნდა დაფინანსდეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების, მუნიციპალიტეტის გამწვანების, შადრევნების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები.



მოსალოდნელი შედეგები:

- მოსახლეობისათვის დასასვენებელი პირობების გაუმჯობესება;
- მოსახლეობისათვის უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს შექმნა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;
- ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კეთილმოწყობილი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა;
- რეაბილიტირებული და ახლად შექმნილი სარეკრეაციო ზონების რაოდენობა.

2.3.1. ქალაქის შემოსასვლელის, ქუჩების კეთილმოწყობა და ქალაქის ნაწილის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ქუჩების ქვიშა-ხრემოვანი მასალით მოწყობა; ქუჩების ტროტუარების მიმდინარე კაპიტალური შეკეთება; ქალაქის ინფრასტრუქტურული ნაწილის რეაბილიტაცია.

2.3.2. სკვერებისა და შადრევნების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკვერების და შადრევნების მოწყობა/რეაბილიტაცია.

2.3.3. ცენტრალური პარკის მოვლა (პროგრამული კოდი 02 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შპს „კულტურისა და დასვენების პარკი“, რომელიც განახორციელებს არსებული პარკების მოვლა-პატრონობას.

2.3.4. ნარგავების მოვლა-პატრონობა, გამწვანება (პროგრამული კოდი 02 03 04)

აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება, მოსახლეობისათვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ბაღების, სკვერების, გაზონების, ფერდობების მოვლა-პატრონობა, ხე-მცენარეების, ბუჩქებისა და ყვავილების შეძენა, ხე-მცენარეების შეწამვლა, გასხვლა, სანაგვე ურნებისა და საბაღე სკამების აღდგენა, ქალაქში არსებულ სკვერებში განადგურებული მწვანე საფარის აღდგენა და დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, მწვანე საფარის მუდმივი განახლება.

2.4. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის ფარგლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდება ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით.

მოსალოდნელი შედეგები:

- სოფლის მაცხოვრებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ახალი და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 03 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი



პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია; ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ტრადიციების დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით; ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების და თეატრების ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; სახელოვნებო განათლების და ხელოვნების დარგების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა; პრიორიტეტის ფარგლებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; სპორტის სხვადასხვა სახეობის, საქართველოს ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში) მონაწილეობის ხელშეწყობას; სპორტული დაწესებულებების ბაზების თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობას; მწვრთნელ-მასწავლებელთა და სპორტსმენთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესებას; სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია; ახალგაზრდების სხვადასხვა ასპარეზზე მხარდაჭერას და მათი სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრებად ჩამოყალიბების ხელშეწყობას. ასევე გაგრძელდება ბოლნისის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა ეკლესიების, მონასტრების რესტავრაცია და შემდგომი აღორძინებისათვის.

3.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 01)

სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია, ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება, აღდგენა, მშენებლობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა;
- გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით;
- მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში;
- სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება;
- მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული მწვრთნელ-მასწავლებლები და ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა;
- სპორტულ ჯგუფებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა;
- სხვადასხვა ტურნირებზე წარმატებული სპორტსმენების რაოდენობა;
- პრიზიორთა რაოდენობა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე;
- რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული ობიექტები;
- თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი სპორტული ობიექტების რაოდენობა.

3.1.1. სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება – ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის“, ააიპ „სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება – ბოლნისის მიუდოს სკოლის, ააიპ „რაგბის კლუბი ბოლნისის“, ააიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სკოლა „ნონას“, საფეხბურთო კლუბ „სიონის“ დაფინანსებას, სადაც ფუნქციონირებს სპორტის სხვადასხვა სახეობების წრები და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას.



3.1.2 სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის მიზანია ქალაქში სპორტის განვითარება და სპორტსმენების კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა. წლის განმავლობაში დაგეგმილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარება უზრუნველყოფს პერსპექტიული სპორტსმენების აღმოჩენას, წახალისებას, ახალგაზრდობის დაინტერესების ზრდას სპორტში, ცხოვრების ჯანმრთელი წესის დამკვიდრებას.

3.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსახლეობაში ქართული კულტურის და ტრადიციების დაცვა და შენარჩუნება;
- მოსახლეობის აქტუალური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში;
- მოსწავლეთა და პედაგოგთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლება;
- კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში მიღწეული წარმატებები;
- მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა;
- ქართული ფოლკლორის და ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია;
- კულტურის დაწესებულებების მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- საზოგადოების ფართო ნაწილის მონაწილეობა ფესტივალებში, კონკურსებში, სადღესასწაულო ღონისძიებებში;
- ნიჭიერი შემოქმედების წარმოჩენა, შემოქმედებითი პროცესის საინტერესო და მრავალფეროვან ღონისძიებებზე მოსახლეობის და ხელოვნების ჩართულობა და მონაწილეობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;
- კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა;
- სპექტაკლების და ფესტივალების რაოდენობა;
- მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა;
- ჩატარებული ღონისძიებების, ტურისტების და ხელოვნებით დაინტერესებულ პირთა რაოდენობა;
- თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი კულტურის დაწესებულებების რაოდენობა;
- განხორციელებული ღონისძიებებისადმი მასმედიის, საზოგადოების ინტერესი, ღონისძიებებზე დამსწრეთა, მათ შორის ტურისტების დასწრების მაჩვენებლები;
- ფესტივალებში, კონკურსებსა და საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეთა და დამსწრეთა რაოდენობა.

3.2.1 კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ააიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკლუბო, საბიბლიოთეკო, სამუზეუმო გაერთიანება „კულტურის ცენტრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა, ლიტერატურული და თოჯინური თეატრების აღორძინება, ხალხური რეწვის დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა, სამუსიკო და ქორეოგრაფიული ნიმუშების შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა. სამუზეუმო ნიმუშების პოპულარიზაციას, გამოფენას და მოვლა-შენახვას.



ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობას, წიგნადი ფონდების შევსება დაკომპლექტებას და სრულ აღრიცხვას. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა“ სადაც სწავლობს 135-მდე მოსწავლე, რაც ხელს შეუწყობს მოზარდ თაობაში ხელოვნების განვითარებას. ააიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის თეატრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: მხატვრული აღზრდის პროპაგანდა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება, სასცენო ხელოვნების განმტკიცება, ტრადიციების აღორძინება და განვითარება, ზოგადსაკაცობრიო იდეალების პროპაგანდა, საზოგადოებისა და ახალგაზრდობის ზნეობრივი და სულიერი სამყაროს გამდიდრება.

3.2.2. კულტურის სახლის სარემონტო სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კულტურის სახლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია.

3.3. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები უზრუნველყოფს კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას, დაგეგმვასა და მისი რეალიზაციის კოორდინაციას. კულტურის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერი და შემოქმედი ახალგაზრდების მხარდაჭერას. კულტურის დღეების, გაცვლითი გასტროლების, კონკურსების, ფესტივალებისა და გამოფენების ორგანიზებას.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსახლეობის აქტუალური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში;
- ქართული ფოლკლორის და ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია;
- საინტერესო და მრავალფეროვან ღონისძიებებზე მოსახლეობის და ხელოვნების ჩართულობა და მონაწილეობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მუსიკალური ფესტივალების, სპექტაკლებისა და გამოფენების რაოდენობის ზრდა;
- საზოგადოების ინტერესის, ღონისძიებებზე დამსწრეთა, რეალიზებული ბილეთების, მათ შორის ტურისტების დასწრების მაჩვენებლები.

3.4. ეპარქიის დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბოლნისის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა, ახალი ტაძრების მშენებლობაში, ისტორიული ეკლესია-მონასტრების აღდგენაში და მათ შემდგომ ღორძინებაში.

მოსალოდნელი შედეგები:

- სასულიერო კერების რაოდენობის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სასულიერო კერების რაოდენობა

3.5. საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამა ითვალისწინებს შპს „გაზეთი ბოლნისის“ დაფინანსებას ფუნქციონირებისათვის, რომელიც ახორციელებს ახალი ამბების და კულტურული და სპორტული ღონისძიებების გაშუქებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოვლენების ობიექტური გაშუქება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:



- რეალიზებული გაზეთის რაოდენობა.

3.6. განცხადება, რეკლამა და საეთერო დრო (პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის მეტი გამჭვირვალობისათვის, საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირების მიზნით დაფინანსდება საინფორმაციო უზრუნველყოფის ხარჯები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოვლენების ობიექტური გამუქება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ინფორმირებული მოქალაქეების რაოდენობა.

3.7. წარჩინებული სპორტსმენების, სტუდენტებისა და მოსწავლეების ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 03 07)

1. წარჩინებული სტუდენტების ყოველთვიური ფულადი წახალისება

ა) წარჩინებული სტუდენტები, რომელთა მაღალი აკადემიური მოსწრება დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით ((A)ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა) დაფინანსდებიან ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით (2018 წლის 1 თებერვლიდან 1 აგვისტომდე და 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე);

ბ) წარჩინებული სტუდენტები, რომელთა მაღალი აკადემიური მოსწრება დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით ((B) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა) დაფინანსდებიან ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით (2018 წლის 1 თებერვლიდან 1 აგვისტომდე და 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე).

2. სპორტსმენების ყოველთვიური ფულადი წახალისება

1. ყოველთვიური ფულადი წახალისება გაეწევათ სპორტსმენებს, რომლებიც 2017 წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან:

ა) სპორტის სხვადასხვა სახეობაში (დიდებში და ახალგაზრდებში) საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები, რომლებიც ირიცხებიან საქართველოს ნაკრების წევრებად – 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ბ) სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში საქართველოს პრიზიორები და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები – 100 (ასი) ლარის ოდენობით;

გ) სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში საქართველოს პრიზიორები და საერთაშორისო ტურნირების პრიზიორები – 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. სპორტსმენთათვის ერთჯერადად ფულადი ჯილდოს გაცემა

1. ერთჯერადი ფულადი ჯილდო გაიცემა სპორტსმენებზე, რომლებიც:

ა) 2017 წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები დიდებში და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, ასევე მათ უშუალო მწვრთნელებს (გარდა 2017 წლის იმ ჩემპიონი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო) – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;

ბ) სპორტსმენებს, რომლებიც 2017 წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორები დიდებში და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, ასევე მათ უშუალო



მწვრთნელებს (გარდა 2017 წლის იმ პრიზიორი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამ დამსახურებისთვის უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო) – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

გ) სპორტსმენებს, რომლებიც 2017 წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან საქართველოს ჩემპიონები დიდებში და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, პრიზიორებს – 200 (ორასი) ლარის ოდენობით, ხოლო მათ უშუალო მწვრთნელებს – 300 (სამასი) ლარის ოდენობით (გარდა 2017 წლის იმ ჩემპიონი და პრიზიორი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო).

4. ეტალონის გამარჯვებულისათვის სტიპენდიის გაცემა

1. ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი 2018“-ის ბოლნისის ეტალონი მოსწავლეს მიეცემა სტიპენდია ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით 2018 წლის განმავლობაში.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და, შესაბამისად, თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უნარშეზღუდული ბავშვების საზოგადოებასთან ინტეგრირებას და მათ საგანმანათლებლო სარეაბილიტაციო ცენტრში სწავლას.

4.1. სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს; პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა.

მოსალოდნელი შედეგები:

- აღსაზრდელთა შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა;
- საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი;
- გაუმჯობესებული და უსაფრთხო სააღმზრდელო გარემო;
- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;
- ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და დასაქმების ხელშეწყობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღების რაოდენობა;
- აღსაზრდელთა რაოდენობა;
- არანაკლებ 4 ახალი ბაღის კაპიტალური რემონტი;
- ბაგა-ბაღებში აღსაზრდელებისა და ჯგუფების რაოდენობის ზრდა.

4.1.1. ა(ა)იპ – „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება“ (პროგრამული კოდი 04 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება“. ბოლნისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 12 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს საშუალოდ 1275 ბავშვი. სკოლამდელი დაწესებულების დაფინანსება ხორციელდება სრულად ადგილობრივი ბიუჯეტიდან.



მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს ბაღების მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას, კვებას და დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას.

4.2. უნარშეზღუდული ბავშვების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამა ითვალისწინებს ააიპ –ბოლნისის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო ცენტრი „განთიადის“ დაფინანსებას, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უნარშეზღუდულ ბავშვების საზოგადოებასთან ინტეგრირებას და მათ საგანმანათლებლო სარეაბილიტაციო ცენტრში სწავლას.

მოსალოდნელი შედეგები:

- შშმ მოსწავლეთათვის სწავლის ხელმისაწვდომობა;
- შშმ მოსწავლეთა საზოგადოებაში ინტეგრაცია.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა;
- საგანმანათლებლო სივრცეში შშმ ბავშვების ჩართულობის დონის ზრდა.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 05 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

5.1. ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარებას, დაავადებული გადახდისუუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარებას.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსახლეობის დაცვა სხვადასხვა ინფექციურ დაავადებათა გავრცელებისაგან;
- მოსახლეობაში გადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩატარებული პრევენციული ღონისძიებები;
- საშიშ ინფექციურ დაავადებით ავადობის მაჩვენებლის შემცირება;
- იმუნიზირებული მოსახლეობის რაოდენობა;
- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა.

5.1.2. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ – „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაავადებათა აღრიცხვის,



კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის ცენტრის“ და შპს დეზ-ეფექტის“ დაფინანსებას, რომლის მიერ განახორციელდება: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიკეთილსაიმედო სიტუაციის შექმნა და შენარჩუნება; ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სადერატიზაციო, სადუბინსექციო და სადუბინგექციო სამუშაოების ჩატარება, ორგანიზაციებში, სკვერებში, ნაგვის შემკრებ ბუნკერებში; მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობის გზით ეპიკეთილსაიმედო სიტუაციის შექმნა.

5.2. სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, სტუდენტთა და სპორტმენტა სოციალურ დახმარებას, იძულებულ გადაადგილებულ პირთა სოციალურ დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;
- სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფექციებისა და სხვადასხვა დაავადებათა ლიკვიდაცია და პრევენცია.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა;
- სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფილ ბენეფიციართა რაოდენობა;
- ეპილევსიით დაავადებულთა მოქალაქეების რაოდენობის შემცირება;
- პარკისონიზმით დაავადებული მოქალაქეების რაოდენობის შემცირება;
- ონკოლოგიური დაავადებებით დაავადებული მოქალაქეების რაოდენობის შემცირება.

5.2.1. ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 05 02 01)

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ქრონიკული დაავადებების მქონე მოსახლეობის უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა. დასაფინანსებელ ბენეფიციართა კონტინგენტი:

- ა) ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეპილევსიით დაავადებული პაციენტები;
- ბ) ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები პარკისონიზმით დაავადებული პაციენტები;
- გ) ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბრონქიალური ასთმით დაავადებული პაციენტები;
- დ) ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ონკოლოგიური დაავადებებით დაავადებული პაციენტები.



5.2.2. შშმ დახმარებები (პროგრამული კოდი 05 02 02)

